სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის სახელწოდება	**სამშვიდობო პროცესები** **Peace Processes**
ავტორი (ავტორები)	**ნიკოლოზ სამხარაძე**
ლექტორი (ლექტორები)	**ნიკოლოზ სამხარაძე,** საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, მოწვეული ლექტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი. ტელ: 599 117005 (მობილური), ელ-ფოსტა: samkharadze@gmail.com ; nikoloz.samkharadze@tsu.ge
სასწავლო კურსის კოდი	
სასწავლო კურსის სტატუსი	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, სამაგისტრო პროგრამა დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა, **არჩევითი**
სასწავლო კურსის მიზნები	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებისთვის სამშვიდობო პროცესების თავისებურებებისა და პრობლემატიკის გაცნობა - საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისა და პრაქტიკის კონტექსტში; საერთაშორისო და ადგილობრივი მოთამაშეების როლი, სამშვიდობო პროცესის მართვაში, ასევე სამშვიდობო მისიების და ინიციატივების ისტორიული და თანამედროვე გამოცდილების შესწავლა.

კრედიტების რაოდენობა და სათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (ECTS)	**კრედიტი - 5** **სტუდენტებთან საკონტაქტო მუშაობა – 35 საათი სემესტრში.** მათ შორის: **სააუდიტორიო** ლექცია - 15 საათი სემინარი - 15 საათი **საგამოცდო:** შუალედური გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო – 2 საათი დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო - 3 საათი **სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა – 90 საათი სემესტრში.** მათ შორის: ლექცია-სემინარებისთვის მომზადება – 55 საათი შუალედური გამოცდისთვის მომზადება – 15 საათი დასკვნითი გამოცდისთვის მომზადება – 20 საათი
დაშვების წინაპირობები	წინაპირობის გარეშე
სწავლის შედეგები	**ა) ცოდნა და გაცნობიერება:** კურსის გავლის შედეგად სტუდენტები ერკვევიან სამშვიდობო პროცესების როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე კონტექსტში, მათ შორის საქართველოს მაგალითზე. **ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** სტუდენტებს ფართო კარიერულ სპექტრში შეუძლიათ სამშვიდობო პროცესების შესახებ შეძენილი ცოდნის გამოყენება: საჯარო სამსახურში, აკადემიურ სფეროში, არასამთავრობო სექტორში, და ა.შ. **გ) დასკვნის უნარი:**

	მიღებული ცოდნის მეშვეობით, სტუდენტებს შეუძლიათ სამშვიდობო პროცესების და ინიციატივების ანალიზის სხვადასხვა დონეზე კრიტიკულად შეფასება, ამ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრებების ჩამოყალიბება. **დ) კომუნიკაციის უნარი:** სტუდენტებს შეუძლიათ სამშვიდობო პროცესების და ინიციატივების შესახებ თეორიული და პრაქტიკული საკითხების საჯარო განხილვა და საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრებების ზეპირად თუ წერილობით კომუნიკაცია. **ე) სწავლის უნარი:** სტუდენტებს აქვთ სამშვიდობო პროცესებთან დაკავშირებული მოვლენებისა და ტენდენციების შესახებ ინფორმაციის მოძიების, ცოდნის მუდმივი განახლების, ფაქტების მეცნიერული შესწავლისა და კრიტიკულად გაანალიზების აკადემიურ უნარ-ჩვევები.
სასწავლო კურსის შინაარსი	იხ. დანართი
სწავლების/სწავლის მეთოდები	ფორმატი: ლექციები, დისკუსიები, სემინარები, პრეზენტაციები მეთოდები: 1. ვერბალური/ზეპირსიტყვიერი მეთოდი 2. ახსნა–განმარტებითი მეთოდი 3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება 4. დისკუსია, დებატები, კითხვა-პასუხი 5. წიგნებზე/სტატიებზე მუშაობის მეთოდი 6. სემინარებისათვის ზეპირი მოხსენებების/პრეზენტაციების მომზადება 7. წერითი მეთოდი (ანალიტიკური ესეს დაწერა)

შეფასების კრიტერიუმები	1. **დასწრება ლექციებსა და სემინარებზე 5%** 2. **შუალედური წერითი გამოცდა 25%** 3. **ზეპირი მოხსენება/პრეზენტაცია 15%** **4. ანალიტიკური ესე 15%** **5. დასკვნითი წერითი გამოცდა 40%**

<u>შეფასების კრიტერიუმები შუალედური და დასკვნითი წერითი გამოცდებისთვის</u>

სტუდენტის მიერ სასწავლო მასალის ათვისებისა და გაანალიზების, თეორიული ცოდნისა და ფაქტობრივი ინფორმაციის მიღების შედეგად საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბებისა და არგუმენტაციის უნარი შეფასდება წერითი გამოცდების, ესეს და ზეპირი პრეზენტაციის საფუძველზე.

სტუდენტის მიერ დაწერილი ანალიტიკური ესე შეფასდება მაქსიმუმ 15 ქულით შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: 1) ესეს სტრუქტურა და ტექნიკური გამართულობა (ფორმატი, გვერდების რაოდენობის დაცვა, და ა.შ.), 2) თეორიული ნაწილი (ჰიპოთეზის/მოსაზრების არჩევა, თეორიის მისადაგება, ლოგიკა, არგუმენტაცია, და ა.შ.), 3) შინაარსობრივი/ინფორმაციული მხარე (ფაქტების მოძიება, ინფორმაციის სიზუსტე, და ა.შ.).

სტუდენტის მიერ მომზადებული ინდივიდუალური ზეპირი პრეზენტაცია შეფასდება მაქსიმუმ 15 ქულით შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: 1) პრეზენტაციის ფორმატი (რეგლამენტის დაცვა, წარმოდგენილი მასალის ვიზუალური გაფორმება, და სხვა), 2) შინაარსი (საკითხის დასმა, ვითარების ანალიზი, პრობლემის გადაწყვეტის გზების წარმოდგენა, და სხვა), 3) აუდიტორიასთან კონტაქტი (აუდიტორიიდან დასმულ კითხვებზე არგუმენტირებული პასუხების გაცემა, და სხვა).

შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე სტუდენტის მიერ თითოეულ ღია კითხვაზე გაცემული პასუხი შეფასდება მაქსიმუმ 5 ქულით (ანუ შუალედურ გამოცდაზე ჯამში 25 ქულით, ხოლო დასკვნით გამოცდაზე ჯამში 40 ქულით) შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ღია კითხვა - 5 ქულა

1. **5 ქულა:** პასუხი სრულია. საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული როგორც შინაარსობრივი, ისე არგუმენტაციის თვალსაზრისით. პასუხის სტრუქტურა გამართულია. თითქმის არ არის შეცდომები. ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა.
2. **4 ქულა:** პასუხი ნაწილობრივ სრულია. საკითხი მეტწილად კარგად არის გამოცემული, მაგრამ შინაარსობრივი და/ან არგუმენტაციის თვალსაზრისით ამომწურავი არ არის. პასუხის სტრუქტურა დასახვეწია. არის რამდენიმე შეცდომა. ტერმინოლოგია მეტწილად დაცულია. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.
3. **3 ქულა:** პასუხი არასრულია. საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული, მაგრამ აქვს ნაკლოვანებები შინაარსობრივი და/ან არგუმენტაციის თვალსაზრისით. პასუხის სტრუქტურა ბოლომდე გამართული არ არის. არის რამდენიმე სერიოზული შეცდომა. ტერმინოლოგია მეტ-ნაკლებად დაცულია. სტუდენტი დამაკმაყოფილებლად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ნაწილობრივ ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.
4. **2 ქულა:** პასუხი ძირითადად არასრულია. საკითხი არ არის დამაკმაყოფილებლად გადმოცემული. აქვს მრავალი ნაკლოვანება როგორც შინაარსობრივი, ისე არგუმენტაციის თვალსაზრისით. პასუხის სტრუქტურა გაუმართავია. არის სერიოზული შეცდომები. ტერმინოლოგია ხშირად მცდარია. სტუდენტი არადამაკმაყოფილებლად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა.
5. **1 ქულა:** პასუხი არსებითად ნაკლოვანია/მცდარია. საკითხი ცუდად არის გადმოცემული როგორც შინაარსობრივი, ისე არგუმენტაციის თვალსაზრისით. პასუხის სტრუქტურა გაუმართავია. არის მრავალი სერიოზული შეცდომა. ტერმინოლოგია შეუსაბამოა. სტუდენტი არ ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, არ აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა.
6. **0 ქულა:** პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არ არის მოცემული.

ძირითადი ლიტერატურა	1. Richmond, Peace in International Relations, 2014 2. Ozerdem, Lee, International Peacebuiding, 2015 3. Bellamy, Williams and Griffin, Understanding Peacekeeping, 2015

	4. Otunnu, Doyle, Peacekeeping and Peacemaking for the new century, 2015 5. Woodhouse, Bruce and Dando, Peacekeeping and Peacemaking, 2016 6. WOSCAP project: Assessing EU's conflict prevention and peacebuilding interventions in Georgia and Ukraine (სტატია) 7. Kennedy, Hitchcock, From War to Peace, 2014 8. Oberschall, Peacebuilding in divided societies, 2013 9. Emeric Rogier, No More Hills Ahead? Sudan's Tortuous ascents to heights of peace, 2015 ლიტერატურა ხელმისაწვდომია საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტში, თსუ მე-4 კორპუსის 202-ე ოთახში.
დამატებითი ინფორმაცია/პირობები	შუალედური და დასკნითი გამოცდები ჩატარდება ფაკულტეტის მიერ დანიშნულ საგამოცდო კვირეულში თსუ-ს საგამოცდო ცენტრში.

დანართი 1

სასწავლო კურსის შინაარსი

	ლექციის თემა	სასწავლო მასალა
1	მშვიდობა და საერთაშორისო ურთიერთობები	Richmond, Peace in International Relations, pp.19-73
2	მშვიდობის შენების ფაზები (Peace-building)	Ozerdem, Lee, International Peacebuiding, Chapter 2
3	სამშვიდობო ოპერაციების ტიპები	Bellamy, Williams and Griffin, Understanding Peacekeeping, pp.153-230
4	მშვიდობის დამყარების თანამედროვე გამოწვევები	Otunnu, Doyle, Peacekeeping and Peacemaking for the new century, pp. 169-189 Bellamy, Williams and Griffin, Understanding Peacekeeping, pp.301-377
5	გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციები	Woodhouse, Bruce and Dando, Peacekeeping and Peacemaking, pp-131-179
6	მშვიდობის შენების რეგიონალიზაცია	Otunnu, Doyle, Peacekeeping and Peacemaking for the new century, pp. 233-275
7	ევროკავშირის სამშვიდობო შესაძლებლობები	WOSCAP project: Assessing EU's conflict prevention and peacebuilding interventions in Georgia and Ukraine
8	ევროკავშირის სამშვიდობო შესაძლებლობები - ნაწილი II	WOSCAP project: Assessing EU's conflict prevention and peacebuilding interventions in Georgia and Ukraine
9	მშვიდობის დამყარების ცვლადი ბუნება	Kennedy, Hitchcock, From War to Peace, Chapters, 1,3 8
10	სამშვიდობო პროცესები - ბოსნია, ჩრდ. ირლანდია	Oberschall, Peacebuilding in divided societies, pp. 100-129; 157-182
11	სამშვიდობო პროცესები - სუდანი	Emeric Rogier, No More Hills Ahead? Sudan's Tortuous ascents to heights of peace, pp.37-95
12	მშვიდობის შენება (Peace-building) გაყოფილ საზოგადოებებში	Oberschall, Peacebuilding in divided societies, pp. 185-240
13	პოლიტიკა და უსაფრთხოების სექტორი მშვიდობის შენების პროცესში	Ozerdem, Lee, International Peacebuiding, Chapter 7
14	სოციალურ-ეკონომიკური მშვიდობის შენება	Ozerdem, Lee, International Peacebuiding, Chapter 8
15	სასწავლო კურსის შეჯამება	

დასკვნითი გამოცდა		